

პიროვნების სოციალიზაცია-განვითარების, მშვიდობის და  
უსაფრთხოების გარანტი

გულნაზი ხუხუა

პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, ცხუმ-  
აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი,  
ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის  
პედაგოგიკისა და მეთოდოლოგიის ინსტიტუტის  
დირექტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
პროფესორი  
E-mail: gulnazi.khukhua1@gmail.com

*წარმოადგინა ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პედაგოგიკისა და  
მეთოდოლოგიის ინსტიტუტმა*

**აბსტრაქტი.** პიროვნების სოციალიზაცია ურთულესი პედაგოგიური პროცესია, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოების ღირსებას, მის კულტურულ და ინტელექტუალურ სიმაღლეს, როცა მის თითოეულ წევრს გაცნობიერებული აქვს: რას ნიშნავს პიროვნება, ერი, სახელმწიფო, ხელისუფლება, საზოგადოება, ზნეობრიობა, სულიერობა, კულტურა, „ენა, მამული, სარწმუნოება“; იცის დროისა და სივრცის დიმენსიონების ორგანული კავშირი: აწმყო, წარსული, მომავალი, რადაგან შეუძლებელია წარსულის გარეშე აწმყოს გაგება და მომავლის განჭვრეტა. ხატოვნად რომ ვთქვათ: „აწმყო შობილი წარსულისაგან არის მშობელი მომავლისა“ (ალბერტ ლაიბნიცი).

მოსწავლეთა სოციალიზაციაზე პასუხისმგებელია განათლების სისტემა, კერძოდ ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა. მაგრამ, როცა ის აცდენილია კლასიკურ საფუძველს, წარსულის ღირებულ მონაპოვარს და ეყრდნობა მავანთმავანთა სუბიექტურ მოსაზრებებსა და შიშველ პრაქტიციზმს, პრაქტიკულად შეუძლებელია ინტელექტუალურად, ზნეობრივად, სულიერად, ესთეტიკურად სრულფასოვან, ყოველმხრივ ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების აღზრდა.

განათლების სისტემის მუშაობას ხელს უშლის თავისუფლებისა და დემოკრატიის უაპელაციოდ გამოცხადება. რამაც მოამრავლა დაცარიელებული საკლასო ოთახები და აუდიტორიები. თავისუფლებას აქვს თავისი დრო, ადგილი, წონა და ზომა! ყველა სასწავლო დაწესებულება უნდა იდგეს განთლების კლასიკურ საფუძველზე სიახლეთა გათვალისწინებით;

აბსოლუტური დისციპლინა, დისციპლინა და დისციპლინა, რომლის გარეშე ქაოსია და სიბნელე. მასწავლებელი სრულად უნდა ფლობდეს კლასიკურ პედაგოგიკას, სიახლეებს, პროფესიულ და საგნობრივ კომპეტენციებს, აღზრდის კანონებსა და პრინციპებს, მეთოდებს, ტექნიკასა და ტექნოლოგიებს და იმ საგნებს, რომლებსაც ასწავლის; გამოირჩეოდეს მეცნიერული მსოფლმხედველობით, გონიერებით, ზნეობით, სულიერობით, ესთეტიკური გემოვნებით, მეტყველების, ურთიერთობისა და ჩაცმის კულტურით, სრული ობიექტურობით, შრომისმოყვარეობით; მუდმივად უნდა იმაღლებდეს პროფესიულ კვალიფიკაციას ახალ-ახალი მეცნიერული მიღწევების კვალდაკვალ.

*საკვანძო სიტყვები: მასწავლებელი, განათლება, აღზრდა, სოციალიზაცია, მსოფლმხედველობა, გონიერება, ზნეობა, ღვთისმოყვარეობა, შრომისმოყვარეობა.*

მთელი ხელთუქმნელი სამყარო, ცა და დედამიწა და რაც მათშია, მილიონობით წლების განმავლობაში იქმნებოდა ყოვლის შემოქმედი ღვთისა და მისი ძის, მიქაელად წოდებული ჩვენი იესო ქრისტეს მიერ. ყველაფერი, მათი ნახელავი საოცრება იყო, მაგრამ ჩვენს საცხოვრის პლანეტას-დედამიწას აკლდა ერთი მთავარი, ბიო-სოციალური არსება -- ადამიანი-ქმნილებათა გვირგვინი. ღმერთმა თქვა: „შევქმნათ ადამიანი ჩვენ ანარეკლად, ჩვენ მსგავსებად“. „კაცად და ქალად შევქმნათ ისინი“ (ბიბლია, დაბადება 1:26). ადამიანი - სამყაროს მეპატრონე და შემმცნებელი, ღვთის ერთგული და მორჩილი, რომელსაც გაცნობიერებული ექნებოდა ადამიანის დანიშნულება, ცხოვრების აზრი, გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობები. დაუვიწყარია დაბადების მე-2 თავის 23-მე მუხლში მოსეს მიერ აღწერილი ადამისა და ევას შეხვედრის ამალღებული ფონი, როცა ღმერთმა ადამს მისი ძვლისგან შექმნილი ქალი- ევა წარუდგინა:

„მაშინ თქვა კაცმა:

აი, ძვალი ჩემი ძვალთაგანი

და ხორცი ჩემი ხორცთაგანი,

დედაკაცი ერქვას მას,

რადგან კაცისგან არის აღებული.“

(ბიბლია, დაბადება, 2:23)

(აქედან მოდის არაჩვეულებრივი ქართული

ცნებები: მამაკაცი და დედაკაცი!).

„აკურთხა ღმერთმა ისინი და უთხრა: ინაყოფიერეთ, გამრავლდით, აავსეთ დედამიწა და ეპატრონეთ მას“. (დაბადება, 1:27, 28).

სატანა-ემშაკის მიერ ცდუნებულმა ადამიანმა სიტყვა „ეპატრონეთ“ შეცვალა „დაეპატრონეთ“-ით, ღვთისნიერება - უღმერთობით, მოყვასის სიყვარული - სიძულვილითა და მტრობით. შედეგი?! -რასაც ვხედავთ: აშლილი მსოფლიო, დედამიწისა და სიცოცხლის მოსპობის საფრთხე! მსოფლიოს დღევანდელი მდგომარეობით დასტურდება, რომ ადამიანს არ ძალუძს მიწიერი სამყაროს მართვა ყოვლის შემოქმედი ღვთის იეჰოვასა და მისი ძის იესო ქრისტეს ბიბლიური კანონებისა და პრინციპების სრულყოფილად ცოდნის გარეშე.

ამ პრობლემის გასაგებად დაგვეხმარება კაცობრიობის არსებობიდან დღემდე გავლილი ხუთი საზოგადოებრივ- პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ფორმაციების გახსენება. (თუმცა მავან-მავანთ არ უყვართ წარსულის გახსენება. უნდათ, ყველა მიღწევები თვითონ მიიწერონ და სიახლედ გაასაღონ.). მაგრამ არსებობს უცვლელი, უნივერსალური კანონი-დროისა და სივრცის დიმენსიონები: აწმყო, წარსული და მომავალი; აღმოსავლეთ-დასავლეთი, ჩრდილოეთ- სამხრეთი. აწმყო შობილი წარსულისაგან არის მშობელი მომავლისა! (ალბერტ ლაიბნიცი). როგორც გენიოსები ამბობენ, შეუძლებელია, წარსულის გარეშე აწმყოს გაგება და აწმყოს გარეშე მომავლის განჭვრეტა.

დავიწყეთ რას მიაღწია კაცობრიობამ დასაბამიდან დღემდე:

1. პირველყოფილი თემურ წყობილება - დასაწყისში მეტი ერთობა, წესრიგი, კაცებს, ქალებსა და ბავშვებს საკმაოდ ადეკვატური ფუნქციები ჰქონდათ. მამაკაცებს ოჯახის რჩენა, მატერიალური უზრუნველყოფა, გარეშე

უსაფრთხოების დაცვა ევალებოდათ. დედაკაცები - შიგა, ოჯახური საქმეების მოგვარებაზე იყვნენ პასუხისმგებელი, ბავშვებს სქესისა და ასაკის მიხედვით ასაქმებდნენ. შრომა, თამაში, შეჯიბრებები! გამარჯვებულთა დაჯილდოება და ა.შ. უფროსებზე მიბაძვით პიროვნებად ყალიბდებოდნენ. მშობლებსა და შვილებს შორის თანამშრომლობა გაკვეთილის როლს ასრულებდა.

ამავე წყობილების მეორე ნახევარში მდგომარეობა გართულდა. ძლიერები სუსტებს იმორჩილებდნენ. გაჩნდნენ მდიდრები და ღარიბები, მონოგამია შეიცვალა პოლიგამიით, რასაც მოჰყვა განუკითხაობა, აშლილობა, ძალადობის პოლიტიკა და ასე გადაიზარდა მონათფლობელურ ფორმაციაში.

2. მონათფლობელური წყობილება- თვით სახელწოდება შიფრავს მის არსს. მონა ადამიანად არ ითვლებოდა, საერთოდ. მას უყურებდნენ როგორც მუშა ცხოველს. მფლობელი რომ მოკვდებოდა, ცრუ რწმენის გამო, რამდენიმე მონას თან ატანდნენ. თითქოს გარდაცვლილი იქ განაგრძობდა სიცოცხლეს.
3. ბატონყმურ ანუ ფეოდალურ წყობილებაში მონა შეიცვალა გლეხით. მათ შორის განსხვავება ის იყო, რომ მონასთან შედარებით მას უკეთესი მდგომარეობა ექირა. გლეხს ჰქონდა მინი კერძო საკუთრების, ოჯახის შექმნის თავისუფლება.
4. კაპიტალისტური ანუ ბურჟუაზიული წყობილება შედგება კაპიტალისტის, მუშათა და გლეხთა კლასებისგან, რომელიც დემოკრატიის ე. წ. თანასწორუფლებიანობის ეგიდით იწონებს თავს. დემოკრატია არ არსებობს ადამიანთა სამ განსხვავებულ კლასებს შორის, სოციალურ ფენებად დაყოფილ საზოგადოებაში!
5. სოციალიზმი - კომუნისტებმა ყოვლის შემოქმედ ღმერთს ბიბლიიდან მოპარეს მორალური იდეები. ღვთის 10 მცნება თავიანთ ყაიდაზე მოირგეს და დაარქვეს „კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსი“. რომელიც ყველას ზეპირად უნდა სცოდნოდა. ბიბლია კი გააქრეს მიწიერი სივრციდან და თუ ვინმეს აღმოაჩნდებოდა, სამსახურიდან ხსნიდნენ.

სოციალიზმი ქვიშასავით რომ ჩამოიშალა, წესით, რაღაც ახლით, უკეთესი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური წყობილებით უნდა შეცვლილიყო. მაგრამ ეს არ მოხდა! . . . ! ბიბლიიდან ვიგებთ, რომ სატანა-ემმაკისგან შეცდენილი კაცობრიობის პირველი წინაპარი წყვილი: ადამი და ევა, თავიანთი შემოქმედის, უზენაესი ღვთისადმი დაუმორჩილებლობის გამო გამოყრილ იქნენ ედემის ბაღიდან, რომელიც მდებარეობდა ერაყის ტერიტორიასთან ახლოს, მდინარეების: ევფრატსა და ტიგროსს შორის. რასაც ადასტურებს XX საუკუნის 40-ნი წლების რუსი არქეოლოგების გამოკვლევები. ასევე რუსი მკვლევარების მიერ იქნა აღმოჩენილი ნოეს კიდობანი არარატის მთაზე.

აქ მოყვანილი ნეგატივები, ნამდვილად, არ ნიშნავს იმას, რომ პოზიტიური არაფერი არ იყო კაცობრიობის ისტორიაში. რა თქმა უნდა, იყო არის და იქნება კიდევ. ამ ციციქნა სტატიაში ყველაფერს ვერც და არც ჩამოვთვლი, მაგრამ დავასახელებ იმ დიდ მიღწევებს, რაც კაცობრიობას ადამიდან მოყოლებული დღემდე, ე.ი. 6000 (ექვსი ათასი) წლის განმავლობაში შეუქმნია. საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკურ-კულტურული განვითარების ფაქტობრივი მაჩვენებლებია ის ცივილიზაციები, რომელთა არსებობა შემოგვინახა ისტორიამ, როგორცაა: ბაბილონი, ეგვიპტე, კოლხეთი, საბერძნეთი, რომი, თანამედროვე მსოფლიო თავისი ტექნიკითა და ტექნოლოგიებით, მეცნიერება, ხელოვნება და ა.შ.

საქართველოს დიდებას, სხვა რომ არაფერი, „ოქროს საწმისი“ აჩვენებს ძვ.წ./აღ. XVI საუკუნეში ქართველებს წერ-კითხვაც, ოქროს მოპოვებაც და ოქრომჭედლობაც სცოდნიათ, რასაც ბერძენი იაზონისა და აიეტის, კოლხეთის მეფის ქალიშვილის, მედეას ურთიერთობის ისტორია ადასტურებს. ჩვენს წელთა აღრიცხვამდე 5 ათასი წლის წინ ახლო და შორეულ აღმოსავლეთის სახელმწიფოებში უკვე არსებობს განათლების სისტემა ჯერ სკოლების სახით, რომლის დანიშნულება იყო მოზარდი თაობის სწავლება და აღზრდა. შემდეგ, ძვ.წ./აღ. 3200-100 წლებში დაწინაურდა შუმერისა და აქადის სახელმწიფოები. ჩამოყალიბდა ედუბები ანუ სკოლები, პროფესიული სასწავლებლები და სხვადასხვა საგნების სწავლების უნივერსალური ფორმა - „გაკვეთილი“ ანუ მათ ენაზე - „მუგუბა“. პირველი საუკუნის რომაელი მეცნიერ-პედაგოგი და ორატორი მარკუს ფაბიუს კვინტილიანე თავის გენიალურ

წიგნში „ორატორის დარიგებანი“ სიამოვნებით იხსენიებს სკოლის პერიოდს. განსაკუთრებით რიტორიკის „გაკვეთილებს“.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, ანტიკური ხანის ბერძნული და რომაული კულტურის მასშტაბურობა მეცნიერების, ხელოვნებისა და განათლების სფეროში. მათ შორის პრიორიტეტული ადგილი ეკავა აღზრდასა და განათლებას. იმდროინდელი გენიოსების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, მაგრამ რამდენიმეს მაინც დავასახელებთ თავიანთი ბრძნული გამონათქვამებით. ბერძნებიდან: დემოკრიტე - „სწავლება ახდენს სასწაულებს, მხოლოდ შრომის საფუძველზე“, სოკრატე-ფილოსოფოსი, აირჩია პედაგოგიური საქმიანობა. „დიალოგი მოსწავლეებთან“, „ეთიკის სწავლება“, აღზრდის კანონები, პრინციპები; პლატონი- ფილოსოფოსი, თეოლოგი, აკადემიის დამაარსებელი, პედაგოგიკის მცოდნე, „ტიმოსის“ ავტორი მოითხოვდა ყოველმხრივ ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების აღზრდას. არისტოტელე - ფილოსოფოსი, დაამთავრა პლატონის აკადემია, ალექსანდრე მაკედონელის მასწავლებელი, პედაგოგიკური მეცნიერების განმავითარებელი. მან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო სრულფასოვანი პიროვნების აღზრდას. მის მიერ ჩამოყალიბებული აღზრდის კომპონენტებს, როგორცაა: გონებრივი აღზრდა, ზნეობრივი აღზრდა, სულიერი აღზრდა, ესთეტიკური აღზრდა, ფიზიკური აღზრდა, რასაც დღემდე არ დაუკარგავს ძალა. მიუხედავად იმისა, 21-ე საუკუნეში მავანთ-მავანმა აღზრდა „მოსწავლეზე ძალადობად“, შეურაცხყოფად გამოაცხადა!

პედაგოგიკის წინაშე დიდი დამსახურება მიუძღვის ძველ რომს. მიუხედავად იმისა, რომ მას საფუძველი ჩაეყარა დედამიწაზე პირველი ბავშვის, კაენის გაჩენისთანავე. ახალშობილის მშობლებს: ადამსა და ევას არავითარი ცოდნა და გამოცდილება არ გააჩნდათ აღზრდასთან დაკავშირებით, მაგრამ ბავშვის ქცევებზე დაკვირვებით, თანდათანობით დაგროვდა პრაქტიკული გამოცდილება და ფილოსოფიის წიაღში ჰპოვა თავშესაფარი. შემდეგ ახ.წ./აღ. I საუკუნის პირველ ნახევარში, რომაელმა მეცნიერ-პედაგოგმა და ორატორმა მარკუს ფაბიუს კვინტილიანემ პირადი და სხვათა გამოცდილებების საფუძველზე პედაგოგიკა გამოყო ფილოსოფიიდან და დამოუკიდებელ მეცნიერებად ჩამოაყალიბა. რასაც ადასტურებს მისი 12 წიგნისგან შემდგარი სრულყოფილი პედაგოგიკის სახელმძღვანელო სახელწოდებით „ორატორის დარიგებანი“. კვინტილიანეს

შემდეგ პედაგოგიკის თეორიას დღემდე დიდი არაფერი მომატებია და არც დაკლებია. უბრალოდ, იცვლება მიდგომები და სახელები. მე-17 საუკუნეში იან ამოს კომენსკიმ, პედაგოგიკის კლასიკოსმა, პირველმა თარგმნა „ორატორის დარიგებანი“ ლათინურიდან ჩეხურ ენაზე. აღორძინების ანუ რენესანსის ხანის (XIV-XVII სს.).

პედაგოგიკა კვინტილიანეს პედაგოგიურ იდეალებს დაეფუძნა, რომლის მთავარი მიზანი იყო პიროვნების სოციალიზაცია, რომელიც დღემდე აქტუალურია. 30 წელია საქართველოში განათლების სისტემა კლასიკური მწყობრიდან ამოვარდნილია უწმინდესი ცნებების: მეგობრობის, თავისუფლებისა და დემოკრატიის სახელით. კლასიკა არის განვითარების საძირკველი. მის გარეშე განვითარების თანმიმდევრობისა და სისტემურობის პრინციპი ირღვევა და ყოველ თაობას აღმოჩენილის ხელახლა აღმოჩენა მოუწევდა. ეს ეხება განსაკუთრებით, განათლების სისტემას, კერძოდ, მარად მწვანე, საყოველთაო, სავალდებულო და საზოგადოებრივ მეცნიერებას პედაგოგიკას, რომელიც სათავეს იღებს დედამიწაზე პირველი ბავშვის - კაენის დაბადებიდანვე. XXI საუკუნის უცხოური რეფორმების რეფორმათა რეფორმებმა, ე.წ. დემოკრატიისა და თავისუფლების ეგიდით თავდაყირა დააყენა განათლების სისტემა თავისი არსითა და ფორმით:

1. კლასიკური პედაგოგიკის თეორიის უგულვებელყოფამ გამოიწვია მეცნიერების დაკნინება, პრიმიტიულ დონეზე, სუბიექტურ მოსაზრებებზე და შიშველ პრაქტიციზმზე დაყვანა და მეთოდოლოგიის გაფეტიშება. მთავარი კითხვები: რა ვასწავლოთ და რისთვის ვასწავლოთ, დაიკავა კითხვამ-როგორ ვასწავლოთ?
2. პედაგოგიკური მეცნიერების ცნებითი-ტერმინოლოგიური სისტემის აღრევა არა ადეკვატური ტერმინებით: ოკუპაცია, ინტერვენცია, იერიში, პილოტირება;
3. პედაგოგიკის თეორიისა და ისტორიის სპეციალობით 14 წელია დისერტაცია არ დაცულა; აღზრდის ცნების ხსენებაც კი ცოდვად ითვლებოდა 2004-2012 წლებში;
4. განათლების მინისტრის განცხადება: „მორჩა! დღეიდან წარსულს ჩაბარდა წიგნი!

5. მეცნიერებათა დოქტორისა და პროფესორის დიპლომების დარიგება მეცნიერებათა კანდიდატებისათვის;
6. უფროსი თაობის პროფესორთა „ჩარეცხვა“;
7. პედაგოგიკის კათედრის უნივერსიტეტიდან გაქრობა;
8. არ შემდგარი XII კლასი;
9. მშობლიური, ქართული ენის გრამატიკის სახელმწიფო სასწავლო გეგმიდან, პროგრამიდან და შესაბამისად გაკვეთილების ცხრილიდან ამოღება;
10. სკოლებისთვის სხეულიდან ამოკვეთილი ნაწილებისგან შეკოწიწებული ქართული ლიტერატორის არასრულფასოვანი სახელმძღვანელოები;
11. განათლების მინისტრის მიერ ძველი ქართული ლიტერატურის სასწავლო პროგრამიდან ამოღების განაცხადი იმ საბაზით, რომ 'მოსწავლეები ვერ იგებენ და არ კითხულობენ-ო';
12. ე.წ. თავისუფლებისა და დამოკრატის ეგიდით მოსწავლეებისა და სტუდენტებისგან დაცარიელებული საკლასო ოთახები და უნივერსიტეტის აუდიტორიები და ა.შ.;
13. ადრე ზოგად საგანმანათლებლო საშუალო სკოლებისთვის მზადდებოდა ყველა კლასის სასწავლო საგნის მასწავლებელი. ორ ათეულ წელზე მეტია მხოლოდ დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები მზადდებიან. ვფიქრობ, სკოლებში მალე პედაგოგიური კადრების დეფიციტის პრობლემაც დადგება;
14. კაცობრიობის პირველი წყვილის ადამი და ევადან დღემდე ღვთისადმი დაუმორჩილებას მოჰყვა ზნეობრივი და სულიერი დეგრადაცია, დედამიწის სრული განადგურების საფრთხე.

მსოფლიოს საერთაშორისო სამეცნიერო ეკოლოგიურ - მეტეოროლოგიური ორგანიზაციების მონაცემების მიხედვით ვიგებთ, ადამიანმა თავისი დაუდევრობით და უღმერთობით თუ რა ზიანი მიაყენა დედამიწას, ჩვენს საცხოვრის პლანეტას: „საჭირო არ არის მეცნიერი იყო იმის დასაწახად, რომ ჩვენს პლანეტას სერიოზული ზიანი ადგება. მტკნარი წყალი, ოკეანეები, ტყეები და ჰაერი



უკიდურესად დაბინძურებულია“ (ბროშურა „გამოიღვიძეთ!“ N1, 2023. „განწირულია ჩვენი პლანეტა?“).

საერთაშორისო სამეცნიერო კვლევების მიხედვით, მეცნიერები ვარაუდობენ, თუ ასე გაგრძელდა, 30 წელიც არ არის საჭირო, რომ დედამიწა განადგურდეს. მაგრამ ყოვლის შემოქმედი ღმერთი და მისი ძე იესო ქრისტე ამას არ დაუშვებენ, მანამდე „დედამიწის მომსპობთ მოსპობენ“ (ბიბლია, გამოცხადების 11:18), ხოლო „მართლები დაიმკვიდრებენ დედამიწას და მარადიულად იცხოვრებენ მასზე“ (ფსალმუნების, 37:29).

საზოგადოებრივ ცხოვრებაში არსებული მძიმე რეალობა ძირითადად თუ გარკვეულწილად განათლების სისტემის პასუხისმგებლობაა თავისი უნივერსალური და უნიკალური მოვალეობის გამო. ეს არის ყოველმხრივ ჰარმონიულად განვითარებული სრულფასოვანი პიროვნების მომზადება, რაც შეუძლებელია გონებრივი, ზნეობრივი, სულიერი, ესთეტიკური და ფიზიკური აღზრდის გარეშე, რომელიც ორგანულად არის დაკავშირებული პედაგოგიური პროცესის სამ საგანმანათლებლო, განმავითარებელ და აღმზრდელობით სისტემასთან. ესენია: 1. საკლასო საგაკვეთილო, 2. კლასგარეშე და 3. სკოლისგარეშე და სამივეს უშუალო კავშირი აქვს ოჯახთან, სახელმწიფოსა და საზოგადოებასთან და ყველაფერს ერთად სწავლებასა და აღზრდასთან. ყველა კლასის ყოველ გაკვეთილზე სწავლებას აკისრია ოთხი ფუნქცია: საგანმანათლებლო განმავითარებელი, აღმზრდელობითი და შრომითი! ეს არის ერთ-ერთი ძირითადი, უნიკალური, საყოველთაო, სავალდებულო პედაგოგიური პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს ახალი თაობის სოციალიზაციას.

რაც შეეხება კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის კულტურულ საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი საქმიანობის ფორმებს, ის გაკვეთილისაგან განსხვავებით ნებაყოფლობითობისა და თავისუფალი არჩევანის პრინციპს ექვემდებარება. თუმცა აქაც პედაგოგიური ხელოვნებაა საჭირო, მასწავლებელი მოსწავლეებს თუ როგორ მიაწვდის და აღუძრავს მათ ამ სფეროში ინტელექტუალური აქტიურობის ინტერესს.

მოსწავლეთა სოციალიზაციაში განსაკუთრებული პრიორიტეტით გამოირჩევა კლასგარეშე კულტურულ-საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი პროცესი თავისი ბუნებითა და მრავალფეროვნებით.

სკოლის უმთავრესი დანიშნულებაა მოსწავლეთა სოციალიზაცია, რომ სრულფასოვნად გაიცნობიეროს ადამიანის უნიკალურობა, მისი ღვთიური წარმომავლობა, ინტელექტუალური და ფიზიკური შესაძლებლობა, დანიშნულება, ცხოვრების აზრი. გაიგოს რას ნიშნავს ერი, „ენა, მამული, სარწმუნოება“, სახელმწიფო, ხელისუფლება, პარლამენტი. საზოგადოება, ზნეობრიობა, სულიერობა, მშვენიერი, ამაღლებული და ა.შ., რომ გახდეს საზოგადოების სრულფასოვანი წევრი.

სოციალიზაციის პროცესი სკოლაში პირველი გაკვეთილიდანვე უნდა იწყებოდეს მოსწავლეთათვის გასაგებ ენაზე, სანამ სკოლის მიმართ საზეიმო განწყობილება არ შენელებულა! სოციალიზაცია რამდენადაც ინტელექტთან არის დაკავშირებული, სკოლამ დასაწყისიდან სიმწიფის ატესტატის მიღებამდე უნდა იზრუნოს მოსწავლეთა მოქალაქეობრივი შეგნების ამაღლებაზე, ემოციონალური ინტელექტისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებაზე. ეს ხდება სკოლაში სხვადასხვა ციკლის: საბუნებისმეტყველო, საზოგადოებრივი, სახელოვნებო, სპორტული, ტექნიკური, ტექნოლოგიური, ეთიკური ესთეტიკურ და ა. შ., 24-მდე სასწავლო საგნის 12000 გაკვეთილის პროცესში, რომელთა ლოგიკური და დიალექტური ერთობლიობა იძლევა სამყაროს: ცისა და დედამიწის და რაც მათშია, ყველაფრის შესახებ ზოგად განათლებას. იან ამოს კომენსკი სწორედ ამას გულისხმობდა თავის გენიალურ გამონათქვამში: „ყველამ ყველაფერზე ყველაფერი უნდა იცოდეს!“.

ადამიანი როგორც უნიკალური სოციალური არსება, ღვთიური შემოქმედების გვირგვინი, თავისთავში შეიცავს სოციალიზაციის, სრულფასოვან, საზოგადოების ღირსეულ წევრად ჩამოყალიბების პოტენციურ შესაძლებლობას. სწორედ ამას გულისხმობს კომენსკი თავის მეორე მხატვრული კონცეფციაში: „ადამიანში, მართლაც, ყველაფერია მოცემული: ლამპარიც, სანთელიც, ზეთიც, კვესიც - ყოველივე თავისი მოწყობილობით, ოღონდ მთავარია, ვიცოდეთ სანათურის ანთება“. პედაგოგია არის ის ერთადერთი მეცნიერება, რომლის უშუალო ფუნქციაა

ამ სანათურის ანთება პედაგოგის „ოქროს ხელებით.“ ამისათვის მასწავლებელი უნდა ფლობდეს პროფესიულ - პედაგოგიკურ სტანდარტებსა და კომპეტენციებს, რომელიც ჩამოყალიბებულია „პედაგოგიკის თეორიის“ სახელმძღვანელოში. მაგრამ ეს არ არის საკმარისი. მასწავლებელი კარგად უნდა ფლობდეს სენსუალიზმის თეორიას, რომლის გარეშე არ არსებობს შემეცნება, რომელიც 3 ეტაპს მოიცავს: „ცოცხალი, კონკრეტული განსჭვრეტიდან აბსტრაქტულისკენ და მისგან პრაქტიკისაკენ“. პირველი კონცეფცია: „არაფერია ცნობიერებაში, რაც შეგრძნებაში არ გვექონია“ - პირდაპირ დაკავშირებულია სოციალურ და ეკოსისტემურ გარემოს ფაქტორთან. აქედან გამომდინარე, ადამიანმა იცის მხოლოდ და მხოლოდ ის, რაც უნახავს, მოუსმენია, დაუყნოსია, დაუგემოვნებია და რასაც შეხებია. მაშასადამე, შეგრძნების გარეშე არ არსებობს აღქმა, აღქმის გარეშე კი შემეცნება.

ამრიგად, მოსწავლეთა აბსოლუტური უმრავლესობა აღჭურვილია განვითარების ღვთითბობებული ინტელექტუალური უნარებით. მთავარია, სრულყოფილი სასწავლო-აღმზრდელობითი გარემოს შექმნა. უპირველეს ყოვლისა, სასწავლო დაწესებულებები უნდა იდგეს კლასიკურ საფუძველზე: 1. აბსოლუტური დისციპლინა, რომლის გარეშე, როგორც კომენსკიმ თქვა: „სკოლა დისციპლინის გარეშე იგივეა, რაც წისქვილი წყლის გარეშე“. 2. პედაგოგი სრულად უნდა ფლობდეს კლასიკურ პედაგოგიკურ სტანდარტებს, კომპეტენციებს, კანონებს პრინციპებსა და მეთოდებს, ტექნიკასა და ტექნოლოგიებს და იმ საგნებს, რომლებსაც ასწავლის. გამოირჩეოდეს მაღალი მსოფლმხედველობით, მეტყველების, ურთიერთობისა და ჩაცმის კულტურით, სრული ობიექტურობით. 3. მხოლოდ და მხოლოდ კომპეტენტურ მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეთა სოციალიზაცია. სტუდენტი, რომელიც არ ასრულებს თავის სტუდენტურ მოვალეობას, არასოდეს არ იქნება კომპეტენტური მასწავლებელი.

დისციპლინა, დისციპლინა და დისციპლინა! ამის გარეშე მხოლოდ ქაოსია და სიბნელე! . . . ! ვეძებოთ ღირებული, ამაღლებული, ლამაზი და მშვენიერი, „სხვას, ყველას მახე უგია, თავისა გასაყოფელი“ (დავით გურამიშვილი).

### ლიტერატურა:

1. ბიბლია

2. გ. ხუხუა, პედაგოგიკა, თბილისი, 2009, გამომცემლობა „ნატალი“
3. მარკუს ფაბიუსი კვინტილიანე, „ორატორის დარიგებანი,“ რომი I საუკუნე.  
რუსულ ენაზე ითარგმნა ა. ნიკოლსკის მიერ და გამოიცა 1834 წ. პეტერბურგის  
მეცნიერებათა აკადემიის მიერ. ჩვენ კი ქართულ ენაზე ვთარგმნეთ 12-ვე წიგნი
4. იან ამოს კომენსკი, „დიდი დიდაქტიკა,“ მოსკოვი, 1944 წ.
5. სკოლებში პედაგოგიკური კვლევების შედეგები
6. განათლების სისტემის ოფიციალური დოკუმენტები . . . . !
7. განწირულია ჩვენი პლანეტა? ჟურნალი გამოიღვიძეთ! N1, 2923

## SOCIALIZATION OF PERSONALITY - GUARANTOR OF DEVELOPMENT, PEACE AND SECURITY

**Gulnaz Khukhua**

Doctor of Pedagogical Sciences, Academician of Tskhum-Abkhazian Academy of Sciences, Director of Institute of Pedagogy and Methodology of the Tskhum-Abkhazian Academy of Sciences, Sokhumi State University, Professor  
E-mail: gulnazi.khukhua1@gmail.com

*Presented by the Institute of Pedagogy and Methodology of the Tskhum-Abkhazian Academy of Sciences*

**Abstract.** Socialization of a person is the smallest pedagogical process, determined by the dignity of the society, its cultural intellectual height, as for what is part of it, nation, state, government, society, morality, spirituality. Culture, “language, estate, faith” knows the organic connection of time and space dimensions: present, past, future, therefore it is impossible to understand the present and foresee the future without the past. Figuratively speaking: “The present born from the past is the parent of the future” (Albert Leibniz). The education system is responsible for the socialization of students, namely the general secondary school. But when it misses the classical basis, the valuable acquisition of the past, and relies on the subjective opinions and bare pragmatism it is practically impossible. Education of intellectually, morally, spiritually, aesthetically complete, harmoniously developed personality. The work of the education system is hindered by the declaration of freedom and democracy without appeal. Which resulted in empty classrooms and auditoriums. Freedom has its time, place, weight and size! All educational institutions should stand on the classical basis of education, taking into account innovations; Absolute discipline, discipline and discipline, without which there is chaos and darkness. The teacher must fully possess classical pedagogy, innovations, professional and subject competencies, laws and principles of upbringing, methods, techniques and technologies and the subjects he teaches, to be distinguished by scientific outlook, intelligence, morality, spirituality, aesthetic taste, culture of speech, communication complete objectivity, hard work. Professional qualifications must be constantly improved in the wake of new scientific achievements.

**Keywords:** *School, education, upbringing, socialization, intelligence, morals, hard work.*